ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 მაისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი

2. ა(ა)ი.პ "ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თამარ ლაცაბიძე

3 „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: გივი კურტანიძე
ბესარიონ ჭიპაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 1085 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.32.308) ექვსი თვის ვადით და სოფელ ბორითში მდებარე 599 კვ.მ არასასოფლო-საამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) ერთი წლის ვადით კომპანია “Hunan road Brigde Constraqcion LTD” -ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 მაისის მორიგი სხდომის
ოქმი N8
2023 წლის 01 მაისი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერეძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 28 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,
ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,
კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,
გივი კურტანიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,
ბესარიონ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელი,
თამარ ლაცაბიძე ა(ა)ი.პ "ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელი
საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. ბაბლიძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ე. შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი,
ნ კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,
ნ.ნიქაბაძე ა(ა) კ.ი.პ მოქაპაქეთა ჩარტულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ჟურნალისტი.
მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი

2. ა(ა)ი.პ "ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თამარ ლაცაბიძე

3 „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხს: გივი კურტანიძე
ბესარიონ ჭიპაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 1085 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.32.308) ექვსი თვის ვადით და სოფელ ბორითში მდებარე 599 კვ.მ არასასოფლო-საამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) ერთი წლის ვადით კომპანია “Hunan road Brigde Constraqcion LTD” -ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ცალკეული მაჩვენებლები გაუმჯობესებულია, შემოსავლების არ შესულების მიზეზიც გაირკვა, რომ ეს გამოწვეული იყო ხარჯების უკან დაბრუნებით. ინფორმაცია მომხსენებელმა განმარტა დეტალურად დამატები კითხვების შემთხვევაში მზად ვარ გიპასუხოთ.

თ. ავალიშვილმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, რომელმაც მიმართა მომხსენებელს, თუ ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულდა 100% -ით, მაშინ რატომ არ დავწერეთ ბიუჯეტის შესრულება 100%.

ვ. ჭიპაშვილმა, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი იზომება საკასო შემოსავლებით და ამიტომ, რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცენტს ის ასახვას ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშში ჰპოვებს.

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის თანხებთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრის ირმა ალხაზიშვილის მიერ დასმულ შეკითხვაზე ზვარეში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ვ. ჭიპაშვილმა, მომხსენებელმა უპასუხა, რომ მთავრობის გადასაწყვეტია გადაწყვეტილების მიღება, თანხები აუცილებლად გამოიყოფა, მაგრამ ზოგიერთი დაზიანებების აღსადგენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოგვიწევს თანხების მოძიება.

ქ. ზუმბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს დაბაში მიმდინარე ფასადების, ტროტუარების კანალიზაციის სამუშაოები როდის დასრულდება და ასევე მაინტერესებს რა პრინციპით მოხდა საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა დანამატების გაცემა, რომელიც მიმაჩნია, რომ არასწორად არის გაკეთებული.

ვ. ჭიპაშვილმა, მომხსენებელმა უპასუხა, რომ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შრომის ანაზღაურება გაიზარდა 100 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულება ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ კენჭისყრის გარეშე განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ "ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის თამარ ლაცაბიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაღების გაერთიანება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციაა, კარგია, რომ ბევრი რამ კეთდება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია, რადგან წინ გველოდება ავტორიზაცია, საჭიროა ინვენტარის შეძენა, კომპიუტერებით ბაღების აღჭურვა, პრობლემაა ბორითის ბაღის საკითხი და სხვა. ამის შესახებ იყო მსჯელობა კომისიის სხდომაზე, კომისიის სახელით შემოვდივარ წინადადებით ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ბავშვებისათვის სათამაშოების შეძენასთან დაკავშირებით,

თ. ლაცაბიძემ უპასუხა, რომ მარტის თვეში შევიძინეთ, გვაქვს შეკვეთა ეტაპობრივად მივიღებთ, აქცენტი ხარისხიან სათამაშოებზე გვაქვს აღებული.

ქ. ზუმბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს წიგნების შეძენასთან დაკავშირებით ასევე თანამშრომლებზე დანამატების გაცემაზე და სათვალთვალო კამერებზე, მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს გაწეული საქმიანობისათვის.

თ. ლაცაბიძემ უპასუხა, რომ ბაღებისათვის წიგნების შეძენა 22 წელს მოხდა, რაც შეეხება დანამატს იქ არ ყოფილა 0.5 და სრული განაკვეთი მითითებული.

ლ. აბაშიძემ, რომელმაც განმარტება ითხოვა ავტორიზაციის საკითხებზე, რა კრიტერიუმებს მიექცევა ყურადღება. ბაღების გაერთიანების საქმიანობას დადებითად ვაფასებ.

თ ლაცაბიძემ უპასუხა: უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება 4 წელი.

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ განმარტა, რომ საბავშვო ბაღებში ხელფასების მატება არ ხდება საჯარო სამსახურის დაწესებულებების მსგავსად, აქ სხვა კრიტერიუმებია, როდესაც მოხდება ავტორიზაცია მაშინ ყველაფერი დალაგდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს წევრის ლ. აბაშიძის და კომისიის თავმჯდომარის მ. ხვედელიძის წინადადება ა(ა)ი პირის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გივი კურტანიძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 1085 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.32.308) ექვსი თვის ვადით და სოფელ ბორითში მდებარე 599 კვ.მ არასასოფლო-საამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.40.561) ერთი წლის ვადით კომპანია "Hunan road Brigde Constraqcion LTD" -ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის

დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**